

## კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დანაკარგები საქართველოში

მელაძე გ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო  
Meladze@gmail.com

*ანოტაცია. ევროპის მასშტაბით სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლები საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალია. კოვიდ-19 პანდემიის შედეგად, საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. განსაკუთრებით მასშტაბური იყო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დანაკარგები 2019-2021 წლებში. აღნიშნული დანაკარგების აღმოფხვრა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემისათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.*

*საკვანძო სიტყვები: კოვიდ-19, პანდემია, სიცოცხლის ხანგრძლივობა, საქართველო.*

კოვიდ-19-ის პირველი შემთხვევა ჩინეთში, ჰუბეის პროვინციის ქალაქ ვუჰანში, 2019 წლის 12 დეკემბერს გამოვლინდა [1]. საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევა 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა [2]. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) 2020 წლის 11 მარტს ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება გლობალურ პანდემიად გამოაცხადა [3].

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად 2020-2022 წლებში აღნიშნული ვირუსის შედეგად ლეტალური შემთხვევების რაოდენობამ 16.5 ათასი შეადგინა. მ. შ. 8.0 ათასი მამაკაცი და 8.5 ათასი ქალი. 2016 წლიდან საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მუდმივად მატულობდა. 2019 წელს მისმა მაჩვენებელმა 74.1 წელი შეადგინა (კაცებში 69.8 წელი, ქალებში 78.4 წელი), რაც 1990-წლის შემდგომ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო. 2020 წელს ქვეყანაში კოვიდ-19 ვირუსის გავრცელების შედეგად, 2019-2021 წლებში მისი მნიშვნელობა მკვეთრად - 2,7 წლით შემცირდა (მამაკაცებში 2,3, ხოლო ქალებში 3,0 წლით). 2022 წელს პანდემიის შედარებით შესუსტების შედეგად სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაიზარდა, თუმცა მას არ მიუღწევია 2019 წლის დონისათვის.

კოვიდ-19-ით გარდაცვალებათა ყველაზე დიდი რაოდენობა 2021 წელს დაფიქსირდა (იხ. ცხრილი 1), 11.3 ათასი (მ.შ. 5.2 ათასი მამაკაცი და 6.1 ათასი ქალი), რაც მნიშვნელოვან დემოგრაფიულ დანაკარგებს წარმოადგენს. სამეცნიერო თვალსაზრისით საინტერესოა გავარკვიოთ, 2021 წელს რამდენი იქნებოდა მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საქართველოში, კორონავირუსის არ არსებობის შემთხვევაში. აღნიშნული დაშვების თანახმად ჩვენი გაანგარიშებით ორივე სქესის მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი 74.6 წლის ტოლი უნდა ყოფილიყო, მამაკაცებში და ქალებში შესაბამისად 69.4 და 77.9 წელი (იხ. ცხრილი 1). როგორც ვხედავთ ქვეყნის მასშტაბით განსხვავებამ 3.2 წელი შეადგინა, ხოლო მამაკაცებისა და ქალების შემთხვევაში შესაბამისად 1.9 და 2.5 წელი.

ცხრილი 1. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საქართველოში და კოვიდ-19-ით გამოწვეული დანაკარგები 2019-2022 წლებში.

	სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა*			სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა კოვიდ-19-ის არ არსებობის შემთხვევაში**			კოვიდ 19-ით გამოწვეული დანაკარგები (წლები)		
	ორივე სქესი	მამაკაცები	ქალები	ორივე სქესი	მამაკაცები	ქალები	ორივე სქესი	მამაკაცები	ქალები
2019	74.1	69.8	78.4	-	-	-	-	-	-
2020	73.4	69.1	77.7	73.9	69.6	78.1	-0.5	-0.5	-0.4
2021	71.4	67.5	75.4	74.6	69.4	77.9	-3.2	-1.9	-2.5
2022	73.7	69.4	78.1	74.2	69.8	78.6	-0.5	-0.4	-0.5

\*ოფიციალური მონაცემები.

\*\*განგარიშებულია ავტორის მიერ.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.


როგორც აღვნიშნეთ, 2019-2021 წლებში საქართველოში კოვიდ-19 პანდემიის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. სამეცნიერო თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, აღნიშნული დროის მონაკვეთში. დაფიქსირებულ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის კლებაში, თუ რომელმა ასაკობრივმა ჯგუფმა რა „წვლილი“ შეიტანა. აღნიშნული საკითხის გასაანალიზებლად გამოვიყენებთ დემოგრაფიულ მეცნიერებაში აპრობირებულ – დეკომპოზიციის მეთოდს [4]. განგარიშებებისათვის გამოყენებულ იქნა ფორმულა, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$n(\Delta)x = \frac{l_x^1}{l_0^1} * \left( \frac{nL_{x+n}^2}{l_x^2} - \frac{nL_x^1}{l_x^1} \right) + \frac{T_{x+n}^2}{l_0^2} * \left( \frac{l_x^1}{l_x^1} - \frac{l_{x+n}^1}{l_{x+n}^1} \right)$$

სადაც:

X – ასაკი;  $l_x$  – ახალდაბადებულთაგან X ასაკამდე მიღწეულთა რაოდენობა;  $L_x$  – ცოცხლადყოფთა რიცხვი ასაკობრივ ინტერვალში X-დან X+n-მდე ( $n=1$  ან  $n=5$ );  $T_x$  – ადამიანთ-წლების რიცხვი, რომელიც მოსალოდნელია, რომ იცოცხლოს დაბადებულთა მოცემულმა თაობამ X და უფროს ასაკში.

განგარიშებებმა გვიჩვენეს (ნახ. 1), რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის



ნახ. 1. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ცვლილება საქართველოში ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2019-2021 წლებში.

წყარო: განგარიშებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ყველაზე დიდი მასშტაბის კლება 60 წლიდან 75 წლამდე ასაკის ადამიანებში (-1.145 წელი) აღინიშნა. ასევე მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა 45-დან 60 წლამდე (-0.529 წელი) და 75 წლის და უფროსი ასაკის ადამიანებში (-0.677 წელი). განხილული მასალებიდან ჩანს რომ პანდემიის გამო ლეტალური

შედეგების მაღალი მასშტაბით უმთავრესად საშუალო და მაღალი ასაკის ადამიანების ჯგუფები გამოირჩეოდნენ, რაც მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლებში შესაბამისად აისახა.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2022 წელს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ საქართველოში 73.7 წელი შეადგინა, მამაკაცებში და ქალებში შესაბამისად 69.4 და 78.1 წელი.

### ლიტერატურა

- [1] Gralinski L.E, Menachery V.D. Return of the coronavirus: 2019-nCoV, 2020. // Viruses 12:135. doi: 10.3390/v12020135. <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/31991541/> <https://www.mdpi.com/1999-4915/12/2/135>
- [2] მამულაძე ნ., აბსანძე თ. როგორ ებრძვის მსოფლიო კორონავირუსის (COVID 19) პანდემიას.// თბილისი, 2020, გვ. 7.
- [3] Cucinotta D., Vanelli M. // 91(1), 2020 pp. 157–160, Published online 2020 Mar 19, doi:10.23750/abm.v91i1.9397 <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC7569573/>
- [4] Preston S.H., Heuveline P., Guillot M. Demography. Measuring and modelling population processes, 2001, pp. 64-65.

## LOSSES IN LIFE EXPECTANCY DUE TO THE COVID-19 PANDEMIC IN GEORGIA

Meladze G.

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia  
Meladzeg@gmail.com*

*Abstract. The average life expectancy in Georgia is one of the lowest in Europe. The first case of coronavirus in Georgia was recorded on February 26, 2020. As a result of the pandemic, the average life expectancy of the population in Georgia has decreased significantly.*

*Since 2016, the average life expectancy in Georgia has been constantly increasing. In 2019, its rate was 74.1 years (men 69.8 years, women 78.4 years), which was the highest rate since 1990. As a result of the spread of the Covid-19 virus in the country in 2020, in 2019-2021 its value decreased sharply - by 2.7 years (2.3 years for men and 3.0 years for women). In 2022, as a result of the relative weakening of the pandemic, life expectancy increased, although it did not reach the level of 2019.*

*Eliminating the mentioned losses and increasing the life expectancy is an important challenge for the country's healthcare system.*

*Keywords: COVID-19, pandemic, life expectancy, Georgia.*